დანართი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ა. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის პროგრამა.

ბ. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2024 წელი – 31 დეკემბერი 2024 წელი.

გ. პროგრამის ბიუჯეტი: 55 000(ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

დ. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

ე. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე ბენეფიციარზე 100 (ასი) ლარი ყოველთვიურად.

ვ. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

მარტოხელა მშობელი არის მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი.

მუხლი 3. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

მარტოხელა დედების (მამების) სოციალური მდგომარეობის ფინანსური მხარდაჭერა.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობელის სტატუსის მქონე პირი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი. (რომელთა შემოსავლები ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ აღემატება 10 000 ლარს)

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია

ა. განცხადება მერის სახელზე;
ბ. დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობის ასლი;
გ. ბავშვის დაბადების მოწმობა;
დ. მარტოხელა მშობლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ე. დახმარების მიმღები პირის პირადი ანგარიში .
ვ. ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბოლო ერთი წლის შემოსავლების შესახებ.

მუხლი 6. მარტოხელა მშობლის დაფინანსების მიღების წესი

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის

მუხლი 6. მარტოხელა მშობლის დაფინანსების მიღების წესი

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.
2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი